

საიდ. №73174/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №92-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, ს. ებრალიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ბაუშ & ლომბ ინკორპორეტიდ (ნიუ-იორკის კორპორაცია)“ („BAUSCH & LOMB INCORPORATED (a New York corporation)“) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №92-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 25 მარტის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №312/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „ФЛОККАЛ“ (საიდ. №73174/03) დარეგისტრირება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-5 კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

## გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 25 მარტის №312/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "ФЛОКСАЛ" დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მსგავსია კომპანიის შ.პ.ს. „ასფარმა - საქართველოს ფარმაცევტული კომპანია“, სახელზე მე-5 კლასის მსგავსი საქონლისათვის „საქპატენტში“ რეგისტრირებული ნიშნისა „ФЛОКСАН ОФЛОКСАЦИН“ (რეგისტრაციის №14604, რეგისტრაციის თარიღი: 13.09.2002). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ორივე ნიშანი შესრულებულია კირილიცაზე და აქვთ მსგავსი ჟღერადობა. ვიზუალური და ფონეტიკური მსგავსება ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას, რის გამოც, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აპელანტი კომპანია „ბაუმ & ლომბ ინკორპორეტიდ (ნიუ-იორკის კორპორაცია)“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, ნიშნებს შორის არსებობს, როგორც ვიზუალური, ასევე ფონეტიკური განსხვავება. განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების ანალიზისას ირკვევა, რომ როგორც განცხადებული, ასევე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია სტანდარტული რუსული ასომთავრული შრიფტით. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი შედგება ერთი სიტყვისაგან ხოლო დაპირისპირებული ნიშანი წარმოადგენს ფერად ეტიკეტს, რომლის შემადგენლობაში შედის სიტყვიერი „ФЛОКСАН ОФЛОКСАЦИН“ და გამოსახულებითი ელემენტები. ბოლო ასოებით განსხვავდება ნიშნების მსგავსი ელემენტებიც („ФЛОКСАН“ და „ФЛОКСАЛ“).

აღნიშნულიდან გამომდინარე ნიშნებს შორის არსებობს ფონეტიკური და ვიზუალური სხვაობა. რაც შეეხება ნიშნების საერთო შთაბეჭდილებას, ის იმდენად განსხვავებულია, რომ ნიშნების აღრევა ერთმანეთში გამორიცხულია. აპელანტის პოზიციით, განსხვავებულია ასევე, საქონლის ჩამონათვალი. კერძოდ დაპირისპირებულ ნიშანში მე-5 კლასში მითითებულია: “ფარმაცევტული პრეპარატები ადამიანებისათვის”, მაგრამ პრეპარატი „ФЛОКСАН ОФЛОКСАЦИН“ ფაქტიურად წარმოადგენს ანტისეპტიკურ პრეპარატს. განცხადებული სასაქონლო ნიშნის „ФЛОКСАН“ დაცვა მოითხოვება მხოლოდ თვალის წვეთებისათვის. აპელანტის მითითებით, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ საქართველოში სხვადასხვა დროს ერთსა და იმავე კლასებში შემავალი მსგავსი საქონლისათვის იყო რეგისტრირებული და დღემდე თანაარსებობენ ისეთი სასაქონლო ნიშნები, რომლებიც განსხვავდებიან ერთი ასოთი.

მაგალითად:

SOLIAN (IR 483004) – JOLIAN (IR 1018138 დადებითი გადაწყვეტილება)

СОЛИАН (IR 844266) – ЁОЛИАН (IR 1014135 დადებითი გადაწყვეტილება)

PROACTIV (მოწ. № 22863) – PROACTIN (მოწ. № 14294) და ა.შ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 25 მარტის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №312/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „ФЛОКСАН“ (საიდ. №73174/03) დარეგისტრირებას საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო

ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

კოლეგია მიიჩნევს, რომ განცხადებული ნიშანი - „ФЛОКСАЛ“ და დაპირისპირებული ნიშანი - „ФЛОКСАН ОФЛОКСАЦИН“ მსგავსია, როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკურად. განცხადებული ნიშანი „ФЛОКСАЛ“ შესრულებულია კირილიცაზე, ისევე როგორც დაპირისპირებული ნიშანი - „ФЛОКСАН ОФЛОКСАЦИН“. ამავდროულად, როგორც განცხადებული ნიშანი „ФЛОКСАЛ“, ისე დაპირისპირებული ნიშნის პირველი სიტყვა „ФЛОКСАН“ შედგება შვიდი ასოსაგან, და მათი პირველი ექვსი ასო იდენტურია: „ФЛОКСА“/„ФЛОКСА“, ერთადერთი განსხვავება მათ შორის არის ბოლო - „Н“ და „Л“ ასეობი. ამასთან, დაპირისპირებულ ნიშანში არსებული მეორე სიტყვაც „ОФЛОКСАЦИН“ ასევე აღრევამდე მსგავსია ნიშნის - „ФЛОКСАН“, ვინაიდან იდენტურია სიტყვების ძირითადი ელემენტები - „ФЛОКСА“. დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანში ეტიკეტის არსებობა ასევე, ვერ ანიჭებს ნიშნებს განსხვავებას, რადგან იგი წარმოადგენს ნიშნის სუსტ ელემენტს. ამასთან, დაპირისპირებული ნიშნები ქართულად მსგავსად გამოთქმის: „ფლოკსალი“ და „ფლოკსანი ოფლოკსაცინი“.

კოლეგია არ იზიარებს აპელანტი კომპანიის არგუმენტაციას იმასთან დაკავშირებით, რომ დაპირისპირებული ნიშნების საქონლის ჩამონათვალი განსხვავდება. კერძოდ, ნიშნის „ФЛОКСАЛ“ რეგისტრაცია მოითხოვება მე-5 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვლისათვის: „თვალის წვეთები“, მაშინ როდესაც დაპირისპირებული ნიშანი „ФЛОКСАН ОФЛОКСАЦИН“ რეგისტრირებულია, ასევე მე-5 კლასის, შემდეგი საქონლისათვის: „ფარმაცევტული პრეპარატები ადამიანებისათვის“. შესაბამისად, დაპირისპირებული ნიშნის საქონლის ჩამონათვალი „ფარმაცევტული პრეპარატები ადამიანებისათვის“, მთლიანად მოიცავს განცხადებული ნიშნის საქონლის ჩამონათვალს „თვალის წვეთები“, ვინაიდან თვალის წვეთები ასევე წარმოადგენს ადამიანისათვის განკუთვნილ ფარმაცევტულ პრეპარატს.

შესაბამისად, მსგავსია განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების საქონლის ჩამონათვალი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეგია მიიჩნევს, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შემთხვევაში, ერთ სასაქონლო ბაზარზე, მსგავსი საქონლის პირობებში, იარსებებს დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა.

შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის „ФЛОККАЛ“ (საიდ. №73174/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

#### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანია „ბაუშ & ლომბ ინკორპორეტიდ (ნიუ-იორკის კორპორაცია)“ (BAUSCH & LOMB INCORPORATED (a New York corporation)) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 25 მარტის №312/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი:

ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

მ. ფრუიძე

წევრები:

ქ. კილაძე

ს. ებრალიძე